დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 20 ხუთშაბათი, 11 დეკემბერი 1908 წ. № 20

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ✦

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ —კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

თვიური ფასები:

(პირველი სტრიქონი რუსეთისაა, მეორე—საზღვარ-გარეთისა)

12 თვით	11 თვით	10 თვით	9 თვით	8 თვით	7 თვით	6 თვით	5 თვით	4 თვით	3 თვით	2 თვით	1 თვით
8—50	8—10	7—60	7—10	6—50	5—80	5—10	4—40	3—70	3— „	2— „	1— „
12— „	11— „	10— „	9— „	8— „	7— „	6— „	5— „	4—50	3—50	2—50	1—50

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთიანად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოთ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:
„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში ქეშურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. Агладзе.

ელისაბედ ილარიონის ასული, მიხეილ, ვასილ, ალექსანდრე და კონსტანტინე გაბრიელის ძენი და ანნა ვახტანგის ასული ქართველიშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორენი—ძვირფას მამის, უკანასკნელი—მამამთილის სამსახურს გარეშე მყოფ პოდპოლკოვნიკის

გაბრიელ გაბრიელის ძის ქართველიშვილისას

პანაშვიდები 10 და 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. ცხედრის გამოსვენება ბინიდან (მუხრანის ქ., № 4) პარასკევს, 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ანჩისხატის ტაძარში, ხოლო იქიდან კუკიის სასაფლაოზე. (2—564—2)

ქალაქ ქუთაისში პოეტის

აკაკი წერეთლის იუბილეი

კვირას, 1908 წლის დეკემბრის 14-ს

I

დილის დღესასწაული

1. დილის 10 ს. **აკაკი წერეთლის** ბინაზე შეიკრიბებიან არჩეული პატივისმცემელნი და მათის თანახლებით იუბილიარი 10 ნახევარ ს. გაემგზავრება საკათედრო ტაძარში (სობოროში).
2. პარაკლისის გათავების შემდეგ იუბილიარი დაბრუნდება თეატრში.
3. 12 საათზე ქალაქის თეატრში სცენაზე იუბილიარი მიიღებს დეპუტაციებისაგან მილოცვას. დღის დღესასწაული გათავდება 3 საათზე იუბილიარის სიტყვით.

II

საღამოს დღესასწაული

1. „პატარა კახი“, მეორე მოქმედება.
2. ოპერიდან „თამარ-ცბიერი“, მუს. ბალანჩივაძისა.
3. სალიტერატურო განყოფილება. იუბილარის ნაწარმოებთა კითხვა.

III

1. **მილოცვა** იმ დეპუტატებისაგან, რომელნიც ამას ვერ მოასწრებენ დილით.

IV

აპოთეოზი

ბილეთები საღამოს წარმოდგენისათვის იყიდება თეატრის კასაში დეკემბრის 9-დან. დეპუტაციები უნდა გამოცხადდნენ 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში, სადაც მიიღებენ ბილეთებს და თან ეცნობებათ წეს-რიგიც. ბილეთები დილის დღესასწაულზე დასასწრებლად შეიძინება იქვე. (4—უ—2)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, დიდი სადღესასწაულო წარმოდგენაა 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ ტფილისში ჯერ პირველად მოსულნი პირველ ხარისხოვანი მოთამაშენი. დასი სულ ერთიან ახალია. პირველად ჰაერში მფრინავი ქალი ლელ. დღეს მონაწილეობას იღებენ საზოგადოების საყვარელი **რიჩარდ რიბო**, საუკეთესო ჟოკეი **ვოლტერ პარნერი.** მემუსიკე კლოუნები **კამაკიჩები**, გიმნასტი **ირაჩია** და სხვ ნი. დასასრულ დიდი ბალეტი, რომელიც შესდგება 24 ბალერინისაგან. დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი სწორედ საღ. 8 ნახევარ საათზე.

დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

კვირას, 18 დეკემბერს, ორი წარმოდგენა. (0—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

„ღამე სიყვარულისა“

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ზასლავსკაია, კალინინა მეორე, ოსიპოვა, ფერარი; ბ-ნნი ევლახოვი, ლიტკევი, როზანოვი, სერგეევი, ულუხანოვი, ჩერნოვი და სხვ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ხვალე **„ნერონი“**. 16 დეკემბერს ბენეფისი ს. ა. სერგეევასა, 18 დეკემბერს ბენეფისი თეატრის კასსირის მ. დ. სტრელკოვოი-პლიამისა. მზადდება წარმოსადგენად „გოფმანის ზღაპრები“.

კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა

აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების

ნარზანის და ესენტუკისა № 20

სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.

Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страховаго Общества. Телефонъ N 148.

ფასები საწყობში:

ვაგონობით (120 ფუთი) . 1 მ. 80. კ. ფუთი
ფუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „
ნახევარ-ბოთლობით ჭურჭლიანად 14 კ.—

(12—6—9) დირექტორი **ს. ტილიჩეევი.**

„ტფილისის სობრანიე“

შაბათს, 13 დეკემბერს, გაიმართება

ბალი-მასკარადი

საკონცერტო განყოფილებით, სინემატოგრაფით, მეხანიშნავ ფაკირის ჰაჯი-ბარიბ-ფეტის ხვანხებით და სიმებიან ორკესტრით ი. ფუდელმანის გამგეობით.

ბილეთებს მასკ.—სთვის პირადად წევრები და კანდიდატები მიიღებენ „სობრანიეს“ შვეიცარისაგან ყოველ დღე დილით 10—2 ს., საღამოთი 7—12 ს. ბილეთის ფასი 50 კაპ.

ზალაზა და ავან-ზალაში შესვლა შეუძლიათ სამხედროებს მუნდირებში, სამოქალაქოებს—სერთუკებსა ან ფრაკებში, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთ—ეროვნულ ტანისამოსში.

სტუმრების შესვლა საზოგადო წესით. მათთვის შესასვლელი ფასი ორი მანეთია.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (2—665—1)

ექიმი გ. ე. ხოჯაპარუხოვი ყოფილი ასისენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—14)

ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—17

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—29)

ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბებიაშვილი იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—25)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—46)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—47)

ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—5)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—10)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—8)

სამკურნალო ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოდინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავადმ. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავადმ. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—12)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამქაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ. ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ.ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა - ნოვიცკაია — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—85)

ტფილისი, 11 დეკემბერი.

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროს ახალი კანონ-პროექტი წარუდგენია მინისტრთა საბჭოსათვის პირველ დაწყებით სწავლების შესახებ. ცოტა არ იყოს, ეს ცნობა გაუგებარია: პირველ-დაწყებით სწავლაზე მთავრობას უკვე ჰქონდა შემუშავებული პროექტი და დღე-დღეზე ელოდნენ მის განხილვას საკანონმდებლო დაწესებულებაში.

რამდენი ხანია რუსეთში ლაპარაკია საყოველთაო სწავლების შემოღებაზე, რამდენი ხანია თვით მთავრობამ აღიარა ამ რეფორმის უძლიერესი საჭიროება, რამდენი ხანია საერო განათლების სამინისტრო „ამზადებდა და აგროვებდა მასალას“, მაგრამ საქმის წინ წაწევას მაინც არაფერი ეშველა-რა. თვით მესამე სათათბირომ წარსულ სესსიაზე მიაქცია მთავრობის ყურადღება ამ რეფორმის დაჩქარების საჭიროებაზე. ახლა კი გამოდის, რომ მთავრობას ხელმეორედ დაუწყია საქმე: უკვე შემუშავებული პროექტი უკუ უგდია და ახალი წარუდგენია მინისტრთა საბჭოსათვის. ეს გარემოება კი ცხადათ ამტკიცებს საქმის გაჭიანურებას: მინისტრთა საბჭო როდის განიხილავს? მერე შეასწორებს პროექტს და „საბოლოო რედაქციისთვის“ ისევ საერო განათლების სამინისტროს დაუბრუნებს, ესეც შეუდგება შესწორებას და შემდეგ ისევ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს, ესეც განიხილავს და, თუ ხელახლავ არ მოინდომა „შესწორება“ წარუდგენს სათათბიროს. ეს ბიუროკრატიული დაუსრულებელი ზღაპარია, რომელიც პირდაპირ მოწმობს, რომ საყოველთაო სწავლების შემოღების განზრახვა სერიოზული არაა და იგი არა-თუ ამ სესსიაში არ გადიქცევა მორიგ საქმედ, როგორც ამას ჰფიქრობენ სათათბიროს თითქმის ყველა ფრაქციები, არამედ მახლობელ წლებშიაც, ალბათ, განუხილველი დარჩება.

რეფორმის დაგვიანებას მთავრობა აქამდე იმით ასაბუთებდა, რომ ხაზინას არ ძალუძს საჭირო დიდის თანხის გადადება ამ დიად საქმისათვის. მაგრამ რუსეთ-იაპონიის მწარე ომის შემდეგ, როცა მთელმა ქვეყანამ დაინახა რუსეთის ჩამორჩენა, როცა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ უმეცრება, საშინელი უმეცრება რუსის ხალხისა ერთ-ერთი მძლავრი მიზეზი იყო სამარცხვინო დამარცხებისა, ფულების უქონლობაზე ლაპარაკი სწავლა-განათლების საქმეზე როგორღაც სასირცხო შეიქმნა და მთავრობამაც პირველსა და მეორე სათათბიროებს დიდის ამბით გამოუცხადა, საყოველთაო სწავლების შემოღება უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია და ამის განსახორციელებლად ფულსაც ვიშოვითო. მესამე სათათბიროში, როცა ამურის რკინის გზის გასაყვანად მთავრობამ რამდენიმე ასი მილიონი მოითხოვა და როცა ოპოზიციამ გაახსენა საყოველთაო სწავლების დაგვიანება უსახსრობისა გამო, მთავრობამ ისევ მედიდურად გაიმეორა, იმ დიდ საქმის განხორციელებას ჩვენ არ დავაგვიანებთო. ესეთი განმეორებითი განცხადება მაშინ ოპოზიციამაც დაიჯერა, რადგან მალე პროექტიც იქმნა შემუშავებული და რაკი პროექტით საყოველთაო სწავლების განხორციელება განაწილებული იყო 15—16 წლიწადზე, იფიქრეს—ფულის მხრით დაბრკოლება აღარ იქნება. მაგრამ [illegible] დაბრკოლება ისევ აღმოჩნდა და მთავრობამ „დაუსრულებელ ზღაპარს“ მიმართა...

როგორია „ახალი“ პროექტი თავის შინაგანი ღირსებით, ამის შესახებ გაზეთები არას ამბობენ ჯერ. მაგრამ ამას წინად ერთი ისეთი გარემოება გამოტყდა, რომ დაახლოვებით ნამდვილი წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რა „მარკის“ იქნება ახლანდელი მთავრობის პროექტი საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლებისა. ჩვენ ვამბობთ ოქტომბრისტების მიერ შემუშავებულ პროექტზე. ამ „ლიბერალურ“ პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ გამოაქვეყნა ამ წინად თავისი პროექტი საყოველთაო სწავლების და აღნიშნა, რომ ეს პროექტი თავის ძირებით მთავრობისას [illegible] ოქტომბრისტების. მის პროექტში პირველდაწყებითი სკოლის პროგრამა უფრო [illegible] იყო, ვიდრე ოქტომბრისტების პროექტი. ახლა მთავრობას თავისი პროექტი შეუცვლია. ეჭვი არაა, რომ მისთვის უნაყოფოთ არ ჩაივლიდა ოქტომბრისტების მაგალითი: საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაც ეხლა სხვანაირია, ვიდრე მაშინ, როცა მთავრობა თავის პირველ პროექტს ადგენდა. ამიტომ უეჭველია მთავრობა სათანადოთ „შესწორებდა“ თავის პროექტს და შეეცდებოდა [illegible] ლიბერალურ სულის გაძევებას. ვინ იცის, იქნება აქ, ამ „შესწორების“ საჭიროებაში იფარება იმის ახსნაც, თუ რად დასჭირდა მთავრობას სამინისტროს ახალი პროექტის შემუშავება!..

ასეა თუ ისე, მთელი ამ უსაქიროის საქმის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა ცხადათ გვეუბნება, რომ საყოველთაო სწავლების საქმის ამსრულებელი არც დღევანდელი მთავრობა, არც დღევანდელი სათათბირო უძრავლებაა. ეს რეფორმაც, როგორც სხვა პოლიტიკური და სოციალური რეფორმები დღეს დღეობით ან სულ არ იქნება მოხდენილი ან დამახინჯებული იქნება. აგრარულ რეფორმის ბედი—9 ნოემბრის კანონი—სხვა მთავარ საქმეებსაც მოელის დღევანდელ სათათბიროსაგან.

აკაკის იუბილეი

ხმა პოლონეთიდან. გაზეთ „გონიეც ვარშავსკი“-ს № 261-ში დაბეჭდილია წერილი „ქართველთა პოეტის იუბილეი“. წერილში მოთავსებულია აკაკის შესახებ ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობები.

წინამძღვრიანთ-კარის სკოლა. მოგვივიდა შემდეგი წერილი: „დიდებულო მგოსანო, აკაკი! მხურვალე, მასწავლებელი და მოსწავლენი წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისა მოგილოცავთ, ჩვენო მგოსანო, უდიდეს დღეს თქვენის სიცოცხლის [illegible]. ვისურვებთ, რომ ჩვენი [illegible] არ შეწყდეს მრავალჟამიერ საგულისხმოდ, სახსოვრად და სასიამოვნოთ საქართველოს [illegible] შვილებისთვის. თქვენი [illegible] სიტყვის მარგალიტი, როგორც მარგალიტი ობოლი, [illegible] ხალხის გრძნობებში, გაიდგამს ფესვებს მოზარდ ყრმათა გულში, აჰყვავდება, გამოიღებს ნაყოფს მათთვის [illegible] და ჭკუა-გონების გასამტკიცებლად საქართველოს სამსახურისათვის. ჩვენ კვლავ ვუსურვებთ მოზარდ ქართველთა შვილებისაგან ახალ მგოსანს, ღირსეულად თქვენის [illegible]. [illegible] სკოლის **ი. წინამძღვრიშვილი**“.

თელავი. მგოსნის აკაკი წერეთლის დღესასწაულში თელავმაც მიიღო მონაწილეობა. თელავის [illegible] იუბილიარს 7 დეკემბერს. თელავში კიდევ ეს დღე [illegible] სალიტერატურო დილით და საღამოს გამართვით.

დილით [illegible] საკრებულოში ქალაქის სამღვდელოებამ გადაიხადა პარაკლისი, რომელიც [illegible]

დილას დაესწრო აქ[illegible] სასწავლებლების [illegible] კლასის მოწაფენი [illegible] ნაწილი. [illegible]

აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო დილის რიგიანად მოუწყობლობა და შინაარსის მოუ[illegible]იგობა. პარაკლისი რომ სააკადემიო ტაძარში გადახდილიყო და დარბაზში მარტო დილა, სულ სხვა იქნებოდა. წარმოთქმული სიტყვა ხომ ისეთი გრძელი გამოდგა, რომ ყველას მოთმინების ფიალი აევსო. სცენის შუა ადგილას ამაღლებული იყო მწვანე გრგხილებში ჩასმული აკაკის სურათი.

საღამოთი გაიმართა წარმოდგენა აკაკისავე ფონდის სასარგებლოდ. საღამო შინაარსიანი იყო. წარმოადგინეს „თორნიკე ერისთავი“ და „პატარა კახის“ მეორე მოქმედება და დაიდგა ცოცხალი სურათი აპოთეოზით, რომელიც სიმღერებით მიმდინარეობდა.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ თელავის ქალაქის გამგეობას არა თუ ადრესი და დეპუტაციამ არ გაჰგზავნა ტფილისს, არამედ დეპეშითაც არ მიულოცა მგოსანს. რით აიხსნება ეს?! იქნება როგორმე გამოეპარათ, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. სხვა არა იყოს-რა ეს ერთი თვეა ყველა გაზეთში იწერება იუბილეის შესახებ. ეს თუნდა იქით იყოს. სალიტერატურო დილის გადახდა ხომ ყველამ იცოდა, რომ არც ერთი წევრი არ დასწრებია პარაკლისს.

დავიწყებული.

ჭიათურა. კვირას, 7 დეკემბერს, დილის 11-ს საათზედ, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი რკინის გზის სადგურზედ და რადგან ნებართვა არ მოუცდია საიუბილეო კომიტეტს, ჟანდარმის ოფიცერმა ექვსში შეუთვალა, მიემართნა რკინის გზის უმფროსისთვის, ხოლო რკინის გზის უმფროსმა ნება დართო სიტყვიერად, რომელიც მიღებულ იქმნა 7-ში, საღამოს 5-ს საათზედ; (საჭირო იყო 11 საათზედ დილით, ნებართვა-კი მოვიდა საღამოს 5-ს საათზედ), საზოგადოება გაემართა ადგილობრივ თეატრისაკენ, სადაც გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ მოკლედ დაახასიათა აკაკი თავის ლექსით დეკანოზმა წერეთელმა. ხალხი ბლომათ დაესწრო. ბევრი უადგილობის გამო უკან დაბრუნდა.

დილა დაიწყო 12-ს საათზედ. აიხადა ფარდა და გამოქვაბულის მაგვარ სიღრმეში გამოჩნდა მოზრდილი სურათი აკაკისა. მწვანე შეფოთლილ გვირგვინს ელექტრონი აფერადებდა. ზევიდან, ვარსკვლავებით მოჭედილ ლურჯ ციდან, დაჰფენოდა ძლიერი სხივი თეთრ-წითელ ვარსკვლავისა. წინ შეფოთლილი იყო, იგი მოგაგონებდათ ხეივნის შესავალს, რომლის თავზედაც სურათი იყო შოთასი, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ სურათები დიმიტრისა და ილიასი. ძირიდან სიღრმეში ადიოდა საფეხურები აკაკის სურათამდე. აქ ელაგა სხვა და სხვა ქართულ-ევროპიული სურათი. მარჯვნივ და მარცხნივ იდგნენ ადგილობრივ დაწესებულების წარმომადგენელნი და კომიტეტის წევრნი.

ფარდის ახდისას დაიწყო სიმღერა „მუმლი-მუხასი“. სიმღერის შემდეგ ვ. გომელაურმა წაიკითხა ბიოგრაფია აკაკი წერეთლისა. წაიკითხა საკუთარი ლექსი აკაკის მიმართ გ. ნუცუბიძემ და შემდეგ წაკითხულ იქმნა აკაკის რჩეული ლექსები—ორცდა ათამდე.

დასასრულ, ბავშვებმა მასწავლებლის წერეთლის ხელმძღვანელობით (სოფლიდან ჩამოიყვანა თავისი მოწაფეები) სამაგალითოდ დაუხასიათეს მაყურებელთ ყანის მკა.

ამით დასრულდა დილა და შემდეგ სურათის ჩვენება გაგრძელდა იმათთვის, რომელნიც უადგილობისა გამო გარედ იდგნენ.

საღამოთი საათის რვაზე გაიმართა აპოთეოზი. იგივე სურათი, რაც დილით, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ იდგნენ „პატარა-კახის“ მომქმედი პირნი. ამ სურათის განმეორება საზოგადოებამ მოისურვა რამდენჯერმე.

დასასრულს, წარმოდგენილ იქნა „პატარა კახი“, რომელმაც კარგად ჩაიარა და საზოგადოება კმაყოფილი დაბრუნდა.

თეატრი სავსე იყო და ადგილი რომ ყოფილიყო, დასადგომი მაინც, ერთი იმოდენა კიდევ დაესწრებოდა. მარტო დასადგომი ადგილი გაიყიდა სამოცამდე.

იმავე დღეს დილით უფასოდ დარიგდა ხუთასი წიგნაკი. **ტიტია.**

ფრიად საყურადღებო შუამდგომლობა

(წერილი რედაქციისადმი)

გაზეთებში ლაპარაკი გაისმა ბოლოს ხანს შესახებ იმისა, რომ სამი ილიას მკვლელი, რომელთაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, სიკვდილით არ იქმნენ დახჯილნი, რადგანაც ასეთი მათი დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულს მიმართულებას უდროოდ მოკლულის პოეტისა. ეს სალიქადულო აზრი ჯერ გამოითქვა ქართულს გაზეთს „დროება-“ში, მერე მას ბანი მისცა ორმა რუსულმა „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“-მ და „ნოვოსტი ზაკავკაზ.“-მ. ამის შემდეგ თვით საზოგადოებაში გამოირკვა ის აზრი, რომ არზა მიართვან გენ.-გუბერნატორს სასჯელის შემცირებაზე ქართულის საზოგადოების წარმომადგენლებმა. ტფილისის გარედაც შეიქმნა ძლიერი მოძრაობა, ამავე მიზნისაკენ მიმართული. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ბათუმიდან გამოგზავნილი დეპეშა, „დროების“ გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი.

მაგრამ ყველას წინ გაუსწრო მოსიყვარულე გულმა განსვენებულის ილიას მეუღლისამ. ქნეინა ოლგა თადეოზის ასულმა წარსულს ორშაბათს, დაამზადა შესაბამი თხოვნა გენ.-გუბერნატორის სახელობაზე. ხოლო რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ აძლევდა პირადად მიერთვა არზა, ქნეინამ სთხოვა წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგს [illegible] ეკისრნა და თხოვნა წარედგინა გენ.-გუბერნატორისათვის. პატივცემულმა გიორგი ნიკოლოზის ძემ დიდის სიამოვნებით იკისრა შუა-კაცობა და გუშინ სამშაბათს, ინახულა გენერალ-გუბერნატორი და არზაც გადასცა. თავის არზაში ყოვლად ღირსეული ქვრივი ილიასი სთხოვს გენერალ-გუბერნატორს სიკვდილით ნუ დასჯიან მისი მეუღლის მკვლელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა, მაცხოვრისავით პატივება მტრებისა. როცა გენერალს ყაზბეგს არზა მიურთმევია გენერალ გუბერნატორისათვის, ამ უკანასკნელს უპასუხნია: საქმე ამ სამის მკვლელის ჩამოხრჩობაზე ჩემთან ჯერ არ წარმოუდგენიათ. ამიტომ ეხლა გადაჭრით ვერასფერს გეტყვით. როცა საქმეს წარმომიდგენენ, გულდადებით გადავშინჯავ, ჩავაკვირდები, და თუ შესაძლებელი იქნება, სიამოვნებით შევასრულებ მოკლულის ქვრივის სურვილსაო.

ახლა საზოგადოებამ უნდა უცადოს გენერალ-გუბერნატორის გადაწყვეტილებას. ჩემი აზრით, ყოველგვარი აგიტაცია საქმეს თუ არ ავნებს, არას დაეხმარება, არას შემატებს.

იაკობ გოგებაშვილი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 დეკემბერი.

სპარსეთი

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: ნაციონალისტებს დღემდე არ მოსვლიათ შაჰთან გაგზავნილ თავიანთ თხოვნის პასუხი. ნაციონალისტები თხოულობდნენ კონსტიტუციის აღდგენას. რადგან პასუხი ვერ მიიღეს, სხვა სახელმწიფოების მისიებში დაიწყეს თავის შეფარება. მარტო ოსმალეთის მისიაში 300-მდე ნაციონალისტია.

ოსმალეთი

სტამბოლი. 8 დეკემბერს ავსტრიის ელჩს პალავიჩინის თათბირი ჰქონდა დიდ ვეზირთან. დიდმა ვეზირმა ელჩის წინადადებანი მინისტრთა საბჭოს წარუდგინა.

ამ თათბირზე ავსტრიის ელჩმა, სხვათა შორის, განუცხადა ვეზირს, რომ ავსტრია ვერ განიხილავს საკითხს ფულად კომპენსაციის შესახებ, ხმა-კი დადის, ვითომ უკვე გადასწყდა, დაინიშნოს კომისია იმ საფუძვლების შესამუშავებლად, რომლებზედაც შეიძლებოდეს მოლაპარაკების გამართვა.

სტამბოლი. შაბათს, 6 დეკემბერს, საზოგადო სხდომა პარლამენტისა არ მომხდარა. ამ დღეს განყოფილებანი ამოწმებდნენ დეპუტატთა რწმუნების ქაღალდებს. დღეს პარლამენტის სხდომაზე თავმჯდომარეობს უხნიერესი დეპუტატი ნეკკიბეი. წაიკითხეს მისალოცი დეპეშები, რომელიც ათასზე მეტი მოვიდა. დიდი ტაშის-ცემით მიეგებნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, ინგლისის პარლამენტის, სპარსელ ლიბერალის ჯგუფის, ცნობილ ახალგაზრდა ოსმალოს ნიაზი-ბეის და პროფესორ ვამბერის დეპეშებს. ანატოლიელმა დეპუტატმა წინადადება შეიტანა, წაკითხულ იქნას ლოცვა იმის შესაფერებლად რომ სპარსეთში დაცულ იქნას თავისუფლება. ამ წინადადებას ტაშის-ცემით მიეგებნენ მაგრამ უმრავლესობამ მაინც მხარი არ დაუჭირა. ნიაზი-ბეის დეპეშის წაკითხვის დროს მთელი პარლამენტი ფეხზე წამოდგა და მით პატივი სცა თავისუფლების პირველ დამცველს.

სტამბოლი. პარლამენტმა დეპუტატების არჩევნების შემოწმება შემდეგ სხდომისთვის გადასდო. რეგლამენტის თანახმად, თავმჯდომარის არჩევა მოხდება მაშინ, როცა დეპუტატთა რიცხვის ორ-მესამედს დაამტკიცებენ. განყოფილებათა მიერ არჩეული კომისია შეუდგა სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესის შედგენას.

სულთანმა დიდი ვეზირის წარუდგენლად და მისი სურვილის წინააღმდეგ სენატორად დანიშნა პირველ კონსტიტუციის ავტორის მიდხატ-ფაშის შვილი. ამის გამო გაზეთები სწერენ, რადგან ეს დანიშვნა კონსტიტუციონურის გზით არ მომხდარა, დიდმა ვეზირმა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი უნდა შეიტანოსო.

ბალკანეთი

ბერლინი. გერმანიის ბანკის გამგეობის დღევანდელ სხდომაზე გადასწყდა, გაიხსნას განყოფილება სტამბოლში, რაიც გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ოსმალეთში კონსტიტუციის შემოღების შემდეგ საეკონომიო და საკომერციო მოქმედებას ახალი ასპარეზი გაუჩნდაო.

ბელგრადი. განახლდა პარლამენტის სხდომები. სამხედრო მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი 10 მილიონ ნახევარ არა ჩვეულებრივ სესხის გადიდების შესახებ. თათბირი ამ კანონ-პროექტის შესახებ ფარულ კრებაზე მოხდება.

საზღვარ-გარედ

კაირო. დღეის ამბით მოხდა პირველ უნივერსიტეტის გახსნა. საუნივერსიტეტო ფონდი 100.000 მარკამდე ავიდა.

ლონდონი. პარლამენტი 3 იანვრამდის დაიხურა სეფე-სიტყვით, რომელშიაც მეფე აცხადებს, რომ უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება ისევე მეგობრული იქნება, როგორც დღემდე იყო. ამასთან იგი შეეხო იმ ხელშეკრულებებს, რომელნიც ხელს უწყობენ მშვიდობიანობის განმტკიცებას. მეფე დარწმუნებულია, რომ ბალკანეთის საკითხი მშვიდობიანად გადასწყდება. დარწმუნებულია აგრეთვე, რომ საზღვაო უფლების შესახები კონფერენცია შეიმუშავებს ისეთ წესებს, რომლებიც ყველას დააკმაყოფილებს. შემდეგ სეფე-სიტყვა ეხება ინდოეთის საქმეებს და გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ სხვა და სხვა შეთქმულებმა გამოიწვია განსაკუთრებულ კანონების გამოცემათ. მეორეს მხრით, ნათქვამია სეფე-სიტყვაში, ამ შეთქმულებების წყალობით ინდოელებმა [illegible] გამოუცხადეს მთავრობას, რისთვისაც მთავრობა მოვალედ რაცხს თავის თავს გააფართოვოს ინდოეთის მცხოვრებთა უფლებანი ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეებშიო.

პარიზი. 2,000 სტუდენტმა საექიმო ფაკულტეტის შენობის წინ გამართა დიდი მანიფესტაცია ფაკულტეტში შესასვლელ ახლად გამოცემულ წესების წინააღმდეგ. პოლიცია და ჯარი შეიჭრა უნივერსიტეტში და შეუდგა დატუსაღებას.

რომი. სენატმა განიხილა ვენის უნივერსიტეტში მომხდარ ამბების შესახებ შეკითხვა. სენატორებმა ტასიმ და ვისკომ გამოსთქვეს სურვილი, რომ იტალიამ კვლავაც მიიღოს მონაწილეობა სამთა კავშირში, მაგრამ ამასთან განაცხადეს, იტალიის მთავრობამ უნდა შუამდგომლობა აღძრას იტალიელთათვის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ავსტრიაში და ამ საქმეში უნდა დაიხმაროს გერმანიაო. საპასუხოდ ტიტონიმ განაცხადა: თუ მთავრობამ რამე გააკეთა ამ საქმეში, ეს მხოლოდ იმის მეოხებით რომ იტალია სამთა კავშირში იყო. იტალიის ნახევრად ოფიციალურ მეგობრულ წინადადებას ავსტრიაში სიამოვნებით მიეგებნენო. შემდეგ ტიტონიმ სთქვა: უკანასკნელი „მწვანე წიგნი“ საცნობით ამტკიცებს, თუ რამდენად მიზან შეწონილი იყო იტალიის მთავრობის მოქმედება ბალკანეთის საკითხის პირველ ხანაში; მეგობრული დამოკიდებულება ინგლისელებისადმი ამ მოლაპარაკების დროს ისეთივე სასარგებლო იყო იტალიისათვის, როგორც საკითხის მეორე ხანაში რუსეთთან კავშირი აღმოჩნდება. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ იტალიის მთავრობის მოქმედება ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ იყოს მიმართული. იტალიის პოლიტიკა—განაგრძო ტიტონიმ თავისი სიტყვა—მშვიდობიანობის პოლიტიკაა და მთავრობა ასეთსავე პოლიტიკას აწარმოებს შემდეგში, თუ პარლამენტი არ აღუდგება.

რუსეთი

ტვერი. მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს კუზნეცოვს ხელმწიფის შეურაცყოფისთვის ერთი წლით ციხე გადაუწყვიტეს.

გროდნო. 8 დეკემბერს ღამე თორმეტმა ბოროტ-განზრახველმა გასცარცვა ვაჭრები. წაიღეს 5,000 მანეთი. თავდამსხმელები მიიმალნენ.

ფელეტონი

წვიმაში

(სურათი ახალგაზრდის ცხოვრებიდან).

ჩემი იმედის გაცრუებას ყველაფერი ხელს უწყობდა, მაგრამ იმის განხორციელებას მაინც ვუცდიდი.

ხელები ჯიბეებში მეწყო, ქუდი თვალებზე მქონდა ჩამოფხატული და ტალახიანს სველს ქუჩაზე დავდიოდი. შემოდგომის ცას შავი უკუნეთი გადაჰკროდა და მძიმე ღრუბელი აქა-იქ ნაცრის ფრად გამოიყურებოდა. ერთს გაბმულს ხაზზე მივდიოდი, არც აქეთ ვუხვევდი, არც იქით, წუმპესა და ტალახში ვტოპავდი. წუნწკლები შარვლის და პალტოს ტოტებს მისვრიდა, მაგრამ მე მაინც მივდიოდი, სულ წინ, იქამდის ვიდრე ვისმე მობრუნებულს, ჩემ პირდაპირს მოარულს არ დავინახავდი. აქ კი მეც ვბრუნდებოდი, ისე უნებურად, კვლავ ერთს გაბმულს ხაზს ვადგებოდი და ისევ ვიწყებდი სიარულს; მიკვირს, როგორ ხდებოდა, რომ არავის ან არაფერს არა ვხვდებოდი—მე ხომ თავ-ჩაღუნული და გაბრუებული მივდიოდი!

ასე დავდიოდი იმ დრომდის, ვიდრე ძალიან არ დავიღალე. მაშინ კი ჩემის სიარულის ხაზს გადავცდი და დასასვენებლად ერთი ქუჩის ბნელ კუთხეში გავჩერდი. ჩემს ზევით აივანი იყო. იქიდან მომდინარე წყლის წვეთები რბილის ტკაცუნით ჩემს ფორმის ქუდს, პალტოს და კალოშებს დასდიოდნენ, ხტებოდნენ, ზედ ირხეოდნენ და, წვრილს წვეთებად ქცეულნი, ქუდიდან სახეზე ცივად მავდებოდნენ.

ოქტომბრის ცა ერთნაირად და განუწყვეტლივ სცრიდა. ქარს წვიმა ჩემგან მარჯვნივ მოჰქონდა, მარცხენა ლოყაზე მაყრიდა და შემდეგ სადღაც შორს, შავს უცნობ სივრცეში მიჰქონდა; მაგრამ ყველა ამას მე ვერა ვგრძნობდი გარინდებული ვიდექ და ვფიქრობდი, რომ აი ეხლა გამოივლის ჩემი სატრფო და მისი ერთი შეხედვით მაინც გავბედნიერდები.

მეექვსე კლასის მოწაფე ვიყავ. ტრფიალება გულში პირველი და ახალი მქონდა. იგი თავს მავიწყებდა, მაოცნებებდა და აი, ამისთანა ამინდში მახეტიალებდა, თუმცა ორი თვე იყო, რაც მიყვარდა, მაგრამ იმდენად ბავშვი და გაუბედავი ვიყავ, რომ შიშით ლელას ახლოსაც ვერ ვეკარებოდი და მხოლოდ შორის ცქერით ვკმაყოფილდებოდი.

ისედაც უბეჯითომ სწავლა სრულიად დავივიწყე, სასწავლებელში სიარულს თავი დავანებე და მთელს დღეს ქუჩაში ვალამებდი. რა მოხდებოდა იქ, სასწავლებელში, ეს ჩემთვის საინტერესო არ იყო. მხოლოდ თვის ბოლოში, როცა მწკრივად ჩარიგებული ორები დავინახე, ცოტას შევფიქრიანდი, მაგრამ მალე ყველაფერი მივივიწყე და ისევ ლელაზე დავიწყე ოცნება. მას ვეალერსებოდი ჩუმად, უხმოდ, ვეთაყვანებდი, ვესიყვარულებოდი და ვწერდი წერილებს, რომლებშიაც ჩემს ტანჯვაზე, ჩემს იმედზე და სულზე, სადაც პირველი და უმანკო სიყვარული ჩასახულიყო, ველაპარაკებოდი, მაგრამ ამ წერილებს ლელას, რასაკვირველია, არ ვუგზავნიდი. ერთი ამისთანა წერილი ჯიბეში ეხლაც მედო და ოცნებაში მის შინაარს გულის წყნარი ფანცქალით ვიმეორებდი, თან ვფიქრობდი იმ დროზე, როცა იგი ამ წერილს წაიკითხავს და... აქ კი მოსაზრება მერეოდა და არ ვიცოდი, რა იქნებოდა.

მოწაფეთა გაფიცვები რომ იწყებოდა, ყველაზე მეტს მე ვყვიროდი. მინდოდა მეტი თავისუფალი დრო მქონოდა და ამიტომ ვთხოულობდი, რომ ეს „ბიუროკრატების ქარხანა“ დაეკეტნათ, უარ-ეყოთ არსებული პროგრამა, ლათინური, სამხრთო-რჯული შეემოკლებინათ და გაეფართოვებინათ ისტორია, თუმცა ჩემთვის სულ ერთი იყო, რომელი იქნებოდა ვრცელი—ისტორია თუ სხვა საგანი, მაინც არაფერს არ ვსწავლიდი.

დაიწყო მოწაფეთა გაფიცვა და აი, სრულიად თავისუფალი, წვიმასა და ქარში, შუბლ შეკრულ, გამოვებულ ცის ქვეშ ვიდექ, პაპიროსს პაპიროსზე ვუკიდებდი და მძიმედ ვოხრავდი. დიდის ხნის ლოდინით, უნაყოფო ცდით გულ-გასიებულს სუნთქვა მიძნელდებოდა და დაქანცულობისაგან მუხლთ მეკვეთებოდა. მაინც ჯიუტად ვიდექ, ხან ერთ ფეხს ვეყრდნობოდი, ხან მეორეს. ჩამომდინარე წყლის გაბმული, ერთხმოვანი რაკუნი ყურში ისეთ ნაირად შედიოდა, თითქოს ვიღაცა გულ-ღვარძლიანი ჩემს უსუსურობასა და უიმედობას ტაშს უკრავსო. ვბრაზობდი, გული მომდიოდა ცაზე, რომელიც დედამიწას განუწყვეტლივ დასტიროდა, რითაც ჩემს ნატკენს გულს გაუგებარის სიბრაზით ავსებდა.

„ეს ოხერი წვიმა რომ არ იყოს, უეჭველად სასეირნოთ გამოვიდოდა და ვნახავდი...“—ვანჩხლობდი მე.

ცა სწვეთდა და ვფიქრობდი, რომ ჩემსა და მის შორის ის შედარებაა, რომ ჩემი გული იმის გულსავით მოქუშულია და მეც ისევე უხმოდ ვტირი, ჩემს შიგნით, როგორც ის.

ბოლოს, როდესაც საათმა მაცნობა, რომ ცხრას უკვე გადასცილდაო, დავრწმუნდი, რომ იგი აღარ მოვიდოდა და მძლავრად ამოვისუნთქე. ამინდი ხელს მიშლიდა, მე კი ისე ძალიან მინდოდა მისი ნახვა... თუნდ ერთი შეხედვა.

რაკი მისი ქუჩაში ნახვის იმედი გადამიწყდა, გადავწყვიტე მისი სხვაგან მონახვა. იმ იმედით ლელას სახლისკენ გავწიე. აღმართი ისეთის სიჩქარით ავირბინე, რომ გზა ვერ შევამჩნიე, წვიმის წყალი ქუჩებში უდარდელად, კლაკვნით და პატარა ტალღებით მოსცურავდა. მე კი მივრბოდი. პატარა გუბეებს და ტალახებს არ ვერიდებოდი, ღლრონებს ზედ ვახტებოდი და მივრბოდი.

სირბილით და ქაქანით დანიშნულს ადგილს მივაღწიე. ლელას სახლს რამდენჯერმე გავუარე წინ და შემდეგ იმის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეზე კედელსა და ჭიშკარს ამოვეფარე. ჩემს წინ ამართული იყო ორ-სართულიანი, ყავის ფრად შეღებილი სახლი, რომლის დიდი, თეთრი და შუშაბანდიანი აივანი შავ ღამეში დაკრეჭილ კბილებსავით გამომცქეროდა.

სახლში სანთელი არ ენთო, ამიტომ სახლს რაღაც საიდუმლო, შუბლ-შეკრული გამომეტყველება ჰქონდა და მისი დიდრონი, ჩაშავებული ფანჯრები შავ უძრავ თვალებსავით დამცქეროდნენ. კარებთან მიკრული ფარანი თავის სველს სინათლეს ყავის-ფერ კედელზე ანთხევდა, ქუჩაში წვრილს გუბეებში შვიდფერ ვარსკვლავებად ბრწყინავდა და მე, დაღალულს, კუთხეში მიკუნჭულს, ოდნავ მანათებდა. შევყურებდი ამ სურათს და იმ იმედით, რომელშიაც უიმედობაც გამოსჭვივის, ლელას დანახვას ვუცდიდი. ყოველი უმნიშვნელო ჩამი-ჩუმი მისი კაბის შრიალად ან ფეხის ხმად მეჩვენებოდა და ვფიქრობდი, აი ან ეხლა კარებს გააღებს და გამოვა, ან ეხლა ფანჯარაში გადმოიხედავს მეთქი. მაგრამ არავინა სჩანდა... დასველებული ქუდი და პალტო დამძიმდნენ და ისე დამაწვნენ, თითქოს ჩემი ნატკენი სულის დაღალულ სხეულიდან გამოწურვა სურთ. ჰაერი მაკლდებოდა, გულის კოვზთან დამიმძიმდა და ძალზე მინდოდა ამოსუნთქვა, რომ ეს სიმძიმე მომწყდომოდა...

შავს ფანჯარაში თეთრმა ხალათმა გაიელვა და თითქო კაბის შრიალი შემომესმა. გულმა ფანცქალი დამიწყო; ყურები ვცქვიტე და ერთს წერტილს დავაცქერდი; იქ, ფანჯრის იქით, პატარა ალმა იფეთქა. მკრთალმა, პატარა სინათლემ ლელას მშვენიერი პროფილი გაანათა. შუბლსა, ცხვირსა და ტუჩ-ნიკაპზე კანს პირის ფერი მკრთალი ზოლი ჩამოჰყვა; გაწეწილ თმების ბეწვები სათითაოდ ყვითლად განათდა და ლელას სახე ბუნდოვანად დავინახე. შემდეგ ეს ალი ჩაჰქრა, ოთახში ერთის წამით კვლავ სიბნელე გამეფდა და მე ველარა დავინახე რა, მაგრამ მერე კი დიდმა, ლამპრის ძლიერმა შუქმა ერთბაშად იფეთქა.

„მაშ ტყუილად არ ვუცდიდი“! გულზე მომეშვა და ფეხები ავაბაკუნე.

ლელა სტოლს მიუჯდა და წიგნი გაშალა. შუბლზე ხელ მიფარებული, თვალებ დაშვებული, ტუჩებს აცმაცუნებდა და ამ ტუჩებიდან თეთრი მწკრივად ჩასხმული კბილები ხან გამოანათებდნენ, ხან კი იმალებოდნენ. გავრინდდი, გავყუჩდი და იმის სახეს თვალებს აღარ ვაშორებდი; მკერდმა სუნთქვა თავისუფლად დაიწყო. აღარც პალტო და აღარც ქუდი აღარ მამძიმებდნენ. დამავიწყდა წვიმაც, დაღლილობაც და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, თუ ჩემი გრძნობა მისთვის როგორ გამეხილა. ჯიბეში ჩადებული წერილი მოსვენებას არ მაძლევდა. დამამძიმა და ისე მეჩვეებოდა თითქოს იქიდან ამოფრენა უნდაო.

„დროა გამოუტყდე, რაც მოხდება მოხდეს!.. როდემდის უნდა ვითმინო? ან ჰო ან არა...“ გავივლე გონებაში.

ბევრი აღარ ვიფიქრე. წერილი უბიდან ამოვიღე და კარებს მიუახლოვდი. ჯერ მინდოდა, ზარი დამერეკა, დედა კარში გამომეწვია, მაგრამ შემრცხვა. წერილი კარებს ქვეშ შევაცურე, შევუბერე და ქაღალდი სტვენით და შრიალით შიგნით შევარდა. ამ ხმაურობისა მე თვითონვე შემეშინდა და კარებს სწრაფად მოვშორდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტროში მინისტრის ამხანაგის თავჯდომარეობით მოხდა კრება იმ ზომების შესამუშავებლად რომელნიც ხელს შეუწყობენ შაქრის გაიაფებას.

დონის-როსტოვი. ნოვო-ხოპერსკს მახლობლად მოჰკლეს ყაჩაღი, რომელმაც სამხრეთ რუსეთში რამდენიმე ყაჩაღთა ბრბო შეადგინა.

პეტერბურგი. 8 დეკემბერს საერო განათლების მინისტრის თავჯდომარეობით განაგრძეს პირველ-დაწყებით სკოლების კანონ-პროექტის განხილვა. კანონ-პროექტში არავითარი არსებითი ცვლილება არ შეუტანიათ. ახლო მომავალში კანონ-პროექტი წარედგინება მინისტრთა საბჭოს ხოლო შემდეგ საკანონმდებლო დაწესებულებებს გადაეცემა.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი მართველობა 1909 წლის პირველ რიცხვიდან შვიდ და ათ კაპიკიან ახალ სახის მარკებს გამოსცემს, ძველი მარკები მიიღებიან 1910 წლის პირველ იანვრამდე.

ქალაქში დღე და ღამე ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4.

კერჩი. შეიპყრეს ანარხისტ-კომუნისტთა ბრბო. წაართვეს საბუთები და ბეჭედი.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცდა კანონი, რომლითაც ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს აიღოს სესხად 450 მილიონი მანეთი სახელმწიფო ხაზინის 1905 წლის ვალის სარგებლების გასასტუმრებლად 1909 წელს და 1909 წლის ხარჯთაღრიცხვის დეფიციტის დასაფარავად.

ვინიცა. 8 დეკემბერს ღამე აღმოაჩინეს რევოლიუციონერების სადგომი. შეპყრობის დროს სამმა რევოლიუციონერმა ებრაელმა თავი მოიკლა. სროლის დროს ცეცხლი წაეკიდა სახლის ჩალიან სახურავს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ მუშაობა ერობის შემოსაღებად. როგორც იციან მკითხველებმა ტფ. გუბერნატორმა კრებები გამართა საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად. მუშაობა ერობის შემოღების შესახებ დროებით შეჩერებულია, რადგან საგუბერნიო მთავრობამ გამოითხოვა ის მასალა, რომელიც ნამესტნიკის კანცელარიამ ამ რამდენიმე თვის წინად წარუდგინა უმაღლეს მთავრობას. როგორც გავიგეთ, აღნიშნულ მასალის მიღებისათანავე ტფ. საგუბერნიო მთავრობა განაგრძობს მუშაობას.

✦ დეპეშა სრულიად რუსეთის ქალთა კრებას. ქართველ ქალთა კავშირს ამას წინად მოუვიდა მოწვევის ბარათი სრულიად რუსეთის ქალთა კრებაზე, რომელიც გუშინ უნდა გახსნილიყო პეტერბურგში. ქართველ ქალთა ადგილობრივმა კრებამ დაადგინა, მიესალმოს კრებას დეპეშით და ამასთან თავის მხრით დელეგატად დანიშნა ბ-ნი რ. ნ. ნიკოლაძე. მოგვყავს ქართველ ქალთა კავშირის დეპეშაც კრებისადმი: „ქართველ ქალთა კავშირი მხურვალედ ეგებება რუსეთის ქალთა პირველ კრებას. ბრწყინვალე სახელები დიდებულ ქართველ ქალთა, რომელთა მოღვაწეობით აღბეჭდილია საქართველოს ისტორიის საუკეთესო ფურცლები, მრავალ საუკუნეთა როლი ქართველ ქალისა, რომელიც მამაკაც ქართველთან ერთად იბრძოდა სამშობლოს თავისუფლების დასაცველად, თავდებია იმისა, რომ ქართველი ქალი მომავალშიაც არ უღალატებს დიდებულ ტრადიციებს. წარსულში თავისუფლების მოყვარე და სწორუფლებიანი ქართველი ქალი, ეხლაც თავის ჩრდილოეთ დასთან ერთად იბრძოლებს ქალის დათრგუნვილ უფლებათა მოსაპოვებლად. გაუმარჯოს რუსის ქალს, დაუღალავად მებრძოლს თავისუფლებისათვის!“

✦ ტფილისის ტრამვაი. „კავკაზი“ სწერს: „როგორც ბელგიის უსახელო საზოგადოების წიგნიდანა სჩანს, შარშან ტფილისის ტრამვაის 300 ათასამდე უზარალნია; ხოლო ამ წლის დეფიციტი უფრო მეტიც იქნება. ამის მიზეზით ამ საზოგადოების აქციები, რომელნიც წინად 60—70 ფრანკად იყიდებოდა ეხლა 7 ფრანკად იყიდებიან მხოლოდ. ზარალის მიზეზებია—დიდი ხარჯი დაშავებულთა და დაზარალებულთა დასახმარებლად, ახლად გაყვანილ ლინდაგების მცირე შემოსავალი, დიდი ხარჯი ტრამვაის ექსპლოატაციაზე და მსახურებზე, აგრეთვე უკანასკნელთა დაუდევრობა საქმისადმი. საზოგადოებას გადაუწყვეტია გაჰყიდოს საქმე, თუ მყიდველს იშოვის, ან სრულიად მოსპოს იგი“.

✦ გენ.-გუბერნატორის განცხადება. გუშინდელ „კავკაზ“-ის ოფიციალურს განყოფილებაში დაბეჭდილია ტფ. გენ.-გუბერნატორის შემდეგი განცხადება: „საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ამიერიდან ბოროტ-მოქმედებანი აღნიშნულნი სასჯელთა დებულების მე-1038, 1180, 1358 და 1373 მუხლებში ადმინისტრატიულად აღარ იქნებიან გადაწყვეტილი, როგორც ეს დაწესებული იყო 1906 წლის 25 სექტემბრის სავალდებულო დადგენილებით“.

✦ სამღვდელოების დეპუტატთა კრება. ხვალ, 12 დეკემბერს, ტფილისში დაიწყება ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. ზოგი დეპუტატები უკვე ჩამოვიდნენ. კრებამდე ერთი დღე არ დარჩა და ბევრმა ჯერაც არ იცის, რა საგნები უნდა განიხილოს კრებამ. როგორც გადმოგვცეს, დეპუტატები, სხვათა შორის, განიხილავენ საკითხს სანთლის ქარხნის შესახებ და აგრეთვე იმ ფულის განაწილების შესახებ, რომელიც გადაიდო უჯამაგირო მღვდლებისთვის. სინოდს საექსარხოსოსთვის ამ საქმისთვის გადაუდვია 9000 მან., აქედან 5000 მან. მიეცემა ახლად გახსნილ რუსების მრევლის მღვდლებს (ხუთამდე); ქართლ-კახეთის სამღვდელოებას მიეცემა მხოლოდ 1800 მანეთი.

✦ როგორ კეთდება საქმეები ქალაქის გამგეობაში. აი კიდევ ერთი მაგალითი იმისა თუ როგორ დაუდევრად იქცევა ქალაქის გამგეობა და როგორ სარგებლობენ ამ დაუდევრობით სხვა და სხვა პირნი. ამას წინად განთავისუფლდა (პეტერბურგის უნივერსიტეტში) ამიროვის სახელობის სტიპენდია. მთხოვნელი სტიპენდიისა რამდენიმე კაცი იყო. ქალაქის გამგეობას დაევალებია სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტისთვის, ცნობები შეეკრიბა მთხოვნელთა ოჯახურ მდგომარეობაზე. აგენტს მთხოვნელ სტუდენტის სიმონ ტერ-სიმონიანცის შესახებ უცნობებია, ადრესი ვერ გავიგე ამიტომ იმის შესახებ ვერავითარი ცნობები ვერ შევკრიბეო. გამგეობას განუხილავს თხოვნები. გამგეობის ზოგიერთ წევრს უთქვამს, ჩვენ თითონ ვიცით გაჭირვება სტუდენტის ტერ-სიმონიანცისაო, ამიტომ გამგეობას დაუდგენია იშუამდგომლონ საბჭოს წინაშე, რომ ამიროვის სტიპენდია სიმონ ტერ-სიმონიანცს მიეცეს. ნამდვილად კი სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტს კარგად შეეძლო სცოდნოდა ბინა ტერ-სიმონიანცისა. სტუდენტის მამა ადრე ადმინისტრაციის სამსახურში იყო და პენსიაც დაიმსახურა—ეხლა მას თვეში 50 მანეთამდე ეძლევა. ეს რამდენიმე წელიწადია ტერ-სიმონიანცი მსახურებს სავაჭრო-სამეურნეო აგენტად და თვეში იღებს 100 მან. სულ გამოდის 150 მან. ამას უნდა მიუმატოთ ისიც, რომ აგენტს ტერ-სიმონიანცს ბარონის ქუჩაზე აქვს ორ-სართულიანი სახლი და მეორე სახლიც მამადავითში. რა თქმა უნდა ორი სახლის პატრონს, რომელიც თვეში სხვა 150 მანეთსაც იღებს, შედარებით იოლად შეძლებულია, რომ ერთი სტუდენტის შენახვა შეუძლიან. საკვირველია ან აგენტმა როგორ ვერ მიაგნო თავის ამხანაგს, რომელსაც ყოველ დღე ჰხვდება, ან გამგეობამ როგორ არ იცის, რომ ასე „კანდრაბანდულად“ საქმეების გატარება, ბევრი რომ არა ვთქვათ, ძლიერ უხერხულია. უფრო უპრიანი არ იქნება, მართლა ღარიბ სტუდენტებს გაუწიოს ხოლმე საბჭოს წინაშე შუამდგომლობა?

✦ ვიცე-პრეზიდენტის არჩევა. ხვალისთვის დანიშნულია კრება. კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა კრებამ, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს ვიცე პრეზიდენტი.

✦ კახეთის რკინის გზა. როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, ჯერ არ არის თურმე გამორკვეული, როდის დაიწყება სხდომები სამინისტროს იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა შუამდგომლობა კახეთის რკინის გზის შესახებ ამ ჟამად, დეპუტატთა საკრებულოს განკარგულებით, იბეჭდება მასალა რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ მასალით ამ დღეებში თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი უნდა წასულიყვნენ პეტერბურგს აღნიშნულ კომისიის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. წარმომადგენელნი ველარ წავიდნენ და ელოდებიან ამბავს, თუ როდის დაიწყებს კომისია მუშაობას.

✦ უმაღლესი კურსები. ტფილისში უმაღლეს კურსების დამაარსებელთა წრემ აირჩია დეპუტაცია ხუთი კაცისაგან და დაავალა წარუდგინოს ნამესტნიკს კურსების დებულების პროექტი და აღძრას შუამდგომლობა, რომ ნამესტნიკმა მხარი დაუჭიროს წესდების დამტკიცებას.

✦ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი. ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო წესების მოხსნამდე დაიკეტა ტრაქტირი აბდულა-ოღლისა სასამართლოს ქუჩაზე. იქვე დაიკეტა დუქანი გრიგოლ ბუაჩიძისა. სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის სამშობლოში დააბრუნეს ოსმალეთის ქვეშევრდომი სეროპ ზახარიანცი, რომელსაც გადასახლებამდე სამი თვით დააპატიმრებენ, სამი თვით დაპატიმრება მიესაჯა გადასახლების შემდეგ თავის ნებით ჩამოსულს გიორგი თაყველაშვილს; 10 მან. დააჯარიმეს სიღნაღის მცხოვრები სიმონ პაპიაშვილი.

✦ ლექციები ადგილობრივ ენებზე. როგორც ვიცით, ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას აეკრძალა ქართულსა, სომხურსა და სხვა ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა. ამ ცოტა ხანში წარუდგება დეპუტაცია და სთხოვს, ნება დართოს ლექციების განახლებისა.

✦ ექიმის დაპატიმრება. ტფილისიდან ბაქოში „ვესტ. ბაკუ“-ს დეპეშით ატყობინებენ: შეიპყრეს ახვერდოვი. მას აბრალებენ ბ-ნ მაკაროვის ბრილიანტების მოპარვას.

✦ რკინის გზის სამღვდელოება. სინოდი მალე განიხილავს კავკასიის ნამესტნიკის წინადადებას, რომ რკინის გზის სამღვდელოება საკმაოდ დაკმაყოფილებულ იქმნას მატერიალურად. (ვ. რ.).

✦ აკრძალვა. „ნოვ. ზაკ.“ სიტყვით, ტფ. სასულიერო სემინარიის მთავრობას აუკრძალავს მოწაფეებისათვის რაიმე მონაწილეობის მიღება აკაკის იუბილეზე. მოწაფეებს ათი ბილეთი ჰქონიათ, მაგრამ არ გაუშვიათ იუბილეზე დასასწრებლად.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი სომხური წიგნი—„ღმერთი ბუნებაში“, რუსულიდან თარგმნილი დეკანოზის გრ. გრიგორიანცისა ფ. ერთი მანეთი.

✦ 9 დეკემბერს ტფილისში დააპატიმრეს ამას წინად ორენბურგის გუბერნიაში გადასახლებული და ტფილისში დაბრუნებული დუშეთის მაზრის მცხოვრები ალექსანდრე გიგაუროვი.

✦ გოგოლის ქუჩაზე მიმავალი ტფილ. მოქალაქე სიმონ კალაშნიკოვი 9 დეკემბერს დაეცა ქუჩაზე და იქვე გადაიცვალა. გადაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მცხოვრები სარქის მარტიროსოვი, რომელსაც ჰბრალდება სურენის ქუჩაზე ნინა პაპოვის სახლიდან ნივთების მოპარვა.

წერილები

თერგის ოლქი (გადმოსახლებულ ქართველთა თავგადასავალი). ოცი წელი მეტი იქნება, რაც სამოც კომლამდე მთელი ქართველი გლეხობა, სამშობლოში მამულის უქონლობის გამო, დღიურ ლუკმის საძებრად სოფელ ბალთაში გადმოსახლდა და მებატონე დუდაროვების მამულს შეაფარა თავი. დუდაროვების მამულში, რასაკვირველია, ოსებიც და ქისტებიც სცხოვრობენ. და რადგან დუდაროვებს იმდენი სახნავ-სათიბი მამული არა აქვთ, რომ ყველანი დააკმაყოფილონ, ამიტომ ქართველებმა დაიწყეს ძებნა და თხოვნა ეგებ სახელმწიფო მიწა მოგვცენ სადმე. ბევრი ცდის შემდეგ ბალთელ ქართველებს დასახლების ნება მისცეს კაკადურზედ რვა-ცხრა ვერსის მოშორებით (ჩრდილოეთის მხრივ) თერგს გაღმა, ეგრედ წოდებულ „სალბეკათში“.

ქართველებიდან ნახევარზე მეტი აიყარა ბალთიდან და ჩასახლდა ახლად ნებადართულ ადგილში, ჩაიდგა ქოხები და დაიწყო ჯაგების გაჩეხა. ნახევარი ისევ ბალთაში დარჩა. მართალია, გადასახლებულებს ხშირად თავს ესხმოდნენ ავაზაკები, სტაცებდნენ ხარ-ძროხა-ცხენებს და კიდევ ხოცავდნენ, მაგრამ, მაინც ამას არად იმჩნევდნენ: ოღონდ სამუდამო ბინა გვქონოდა და ყველაფერს ავიტანთო, ამბობდნენ. ამ ყოფაში გაიარა რამდენიმე წელიწადმა და ქართველები ავად თუ კარგად მოეწყვნენ. მაგრამ აქაც უმტყუნათ ბედმა: გაუჩნდნენ მოცილენი, სოფ. სანიბლის ოსები და დაუწყეს დავა: „ეგ ადგილი ჩვენა გვაქვს მიცემული და აიყარენითო“. მართლაც გაიმარჯვეს ოსებმა და მოუვიდათ ბრძანება ქართველებს: „აიყარენით აქედან და დაუცალეთ ადგილი სანიბელ ოსებსაო“. ქართველებმა არ იცოდნენ რა ექნათ,—მიაწყდ-მოაწყდნენ და ბოლოს, გაუშვირეს ხელი ქართველებს ხასავიურტისკენ და უთხრეს: „თუ გინდათ, წადით იქ სახელმწიფო მამულში და გასტეხეთ-გაჰკაფეთ იქაური ძველისძველი ადგილებიო“ მეტი რაღა გზა იყო.

წამსვლელებს კავკასიის ქართველ საზოგადოებაში კეთილმა პირებმა მოუგროვეს საგზაო ფული და რის წვალებით გადასახლდნენ ხასავიურტში. აქაც წვალებით ჩაიდგეს ქოხები და მიჰყვეს ხელი ძირის ჩეხას და ამოგდებას. თუმცა ძირის გატეხა ამოგდება ძნელი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მიწა ძლიერ ნაყოფიერი აღმოჩნდა და ჯაფა-წვალებას არაფრად აგდებდნენ. მაგრამ აი, დადგა 1908 წელიწადი და მოულოდნელად გამოუცხადეს ქართველებს: „ჩვენ გვეტყვიან მიწაში რუსეთიდან უნდა გადმოსახლდნენ რუსის გლეხები და დაუყოვნებლივ აიყარენით და დასცალეთ ადგილებიო“. მკითხველი ადვილად მიხვდება რა თავზარდამცემი ამბავი იქნებოდა ეს უიღბლო ქართველებისთვის. შეექნათ ერთი ამბავი, აირჩიეს კაცები, გაჰგზავნ-გამოგზავნეს ზოგან თხოვნები შეიტანეს, ზოგან დეპეშები აფრინეს, მაგრამ ყველგნით ერთი და იგივე პასუხი მოუვიდათ, ეგ ადგილი რუს გლეხებს აქვს მიცემულიო. თანაც დაიწყეს გადმოსახლება რუსის გლეხებმა.

კვლავ დადონდნენ ქართველები და მიეცნენ საგონებელს. გაიგეს თუ არა ეს ამბავი მეზობელმა ჩეჩნებმა, იწყეს დენა ჩეჩნელმა მოლებმა ქართველებთან წინადადებს აძლევდნენ: „ჩვენ გავიგეთ, რომ გაწუხებენ და აქედან გერეკებიან, მიდით ჩვენთან, მიიღეთ მაჰმადიანობა და რამდენიც საჭიროა თქვენთვის, იმდენს მამულს მოგიზომავთო“. ქართველებმა ეს წინადადება არ მიიღეს.

ამ მოულოდნელ ამბის შემდეგ ქართველები მიაწყდ-მოაწყდნენ და რაკი მეტი გზა აღარა ჰქონდათ, აირჩიეს გასასყიდი მიწა, ხასავიურტის ოლქში, მებატონე ხამზაევისა, ამათ მიემხრნენ დანარჩენი, ბალთაში მცხოვრები ქართველებიც იყიდეს 650 დესეტინა მიწა, საგლეხო ბანკის დახმარებით, დესეტინა 93 მანეთად. როგორც ამბობენ, მიწა ძლიერ კარგი და ნოყიერია და სულ სარწყავია. ქართველების საქმის მოწყობა ე. ი. მამულის პატრონი ხამზაევთან საქმის გათავება აქვს ჩაბარებული კავკავში მცხოვრებ ნაფიც ვექილს თავად დორთქიფანიძეს.

ქართველი ოსებში.

—

ს. მეჯრუხევი. მეჯრუხევი დიდი და შეძლებული სოფელია და კარმოებას რომ ხელი შეუწყო, დღეს ეს სოფელი დიდათ ამაღლებული იქნებოდა. აქ ბევრი რამ სასარგებლო დაწესებულება არსებობდა. იყო ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი საქალებო განყოფილებით. აფთიაქი, ექიმი ფერშლით და ბებიით, კარქად და უხვად მოწყობილი საავადმყოფო, უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო, იმართებოდა ხშირად კრებები, წარმოდგენები, თითქმის თეატრის აშენების იმედიცა ჰქონდათ, აპირებდნენ ორკლასიან სასწავლებლის გადაკეთებას ოთხ კლასიანად და სხვ. მაგრამ დროთა ვითარებამ ხელი არ შეუწყო და დღეს მეჯრუხეველები ცრემლზე სხედან: არც ერთი ზემოხსენებული დაწესებულება აღარ მოეპოვებათ. მოძრაობის დროს სკოლა დაიკეტა და ბავშვები ქუჩაში დარჩნენ. თუმცა ერთ კლასიანი სკოლა გახსნეს, მაგრამ მისი არსებობა რაღაც საეჭვო პირობებშია; მასწავლებლებს ეს მეექვსე თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ და ისეთაც გაჭირვებულებმა, ლამის თავი გაანებონ საქმეს. ექიმი, ფერშალი და ბებია სამუდამოდ გაისტუმრეს და, სამაგიეროდ, ფეხზე წამოდგნენ ექიმბაშები და მკითხავები. აქაურ საზოგადოების გულგრილობის ბრალია რომ მშვენივრად მოწყობილმა წიგნთ საცავ-სამკითხველომ თქვენი ჭირი წაიღო. ზოგი გადარჩენილი წიგნი მაგრა შეკრულია თოკით და თაგვების სარჩოთ არის მიტოვებული. ამოდენა საზოგადოებაში, ორი-სამი კაცის გარდა, არავინ იწერს **ჟურნალ-გაზეთებს**. სჩანს არცკი სურთ იცოდნენ, მათ გარშემო რა ხდება, აფთიაქი და საავადმყოფო გააუქმეს და ძვირფასი საექიმო იარაღი და ავეჯეულობა ჩალის ფასად გაყიდეს. კრებებს ისე გადაეჩვივნენ, რომ აკაკის იუბილეზედ მოსალაპარაკებლად ძლივძლივობით შეგროვდა ორიოდე კაცი.

შინაური.

სპარსეთის ამბები

აჯანყება ხორასანში

გაზეთ „გორცის“ კორესპონდენტი დაწვრილებით აგვიწერს ხორასნის სატახტო ქალაქ მეშედში მომხდარ ამბებს. სამმა გავლენიანმა მუშტეიდებმა მოწოდება გამოსცა, რომლითაც ურჩევდა ხალხს, მთავრობას არც ერთი გროში გადასახადი არ მისცეთ და ყოველის საშუალებით ეცადეთ კონსტიტუცია აღდგენილ იქმნასო. ეს მოწოდება მრავლად გაავრცელეს ქალაქში და ხალხიც უყურადღებოდ არა სტოვებს. 16 ნოემბერს ხალხი აღსდგა. იგი თხოულობდა—ან აღადგინეთ კონსტიტუცია, მოიწვიეთ მეჯლისი და კანონიერება დაამყარეთ ანა და ჯარი და მთავრობის წარმომადგენელნი გადით ქალაქიდანაო. სავაჭრო დაწესებულებები, ბაზრები დაიკეტა. ბევრ ადგილას მიტინგები იმართება. გენერალ-გუბერნატორი ბრძანებასა სცემს, ჯარის მობილიზაცია მოახდინეთ და აჯანყება ჩააქრეთო. სალამოთი მოძრაობამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ხალხი ფიცსა სდებს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და მთავრობას დიდხანს არ ვაბოგინებთო. ხალხი მრავლად მიეშურება მოედნისაკენ, სადაც ბევრი მეჩითებია. ყველა მეჩითში მიტინგები გამართეს. გენერალ-გუბერნატორი ემუქრება, სამხედრო წესებს გამოვაცხადებ, თუ არ დაწყნარდებითო. 17 ნოემბერს კი ქა-

---

ყველაზე უმთავრესი ასრულდა. ეხლა მინდოდა, რომ წერილი დანიშნულებისამებრ მისულიყო და პასუხიც ჩქარა გამეგო. გული მიღელავდა და ვცდილობდი, სწორედ მივმხვდარიყავი ლელას გულის თქმას.

მაგრამ ორჭოფობა მოსვენებას არ მაძლევდა. ხან დარწმუნებული ვიყავ, რომ დედაც თანამიგრძნობდა, ხან კი ვფიქრობდი, რომ თავი სამასხარაოდ გავიხადე. აბა სად შევსწვდები მას! ის ლამაზია, უკანასკნელი კლასის მოწაფე, გასათხოვრად დამზადებული... მე კი... საწყალი, ულამაზო მეექვსე კლასის სალოდავი მოწაფე და ჯერ კიდევ ღლაპი...

„ავჩქარდი!.. რა საჭირო იყო ასეთი მოუფიქრებლობა... ჯერ მისი აზრი როგორმე უნდა გამეგო და შემდეგ შეიძლებოდა... ეხლა ხომ... მასხარად ამიგდებს... თვალით აღარ დამენახვება... უარესად დავკარგავ... დამცინებს და ქვეყანას მოსდებს ჩემს ამბავს.—ვფიქრობდი და თან ვწითლდებოდი:—ოხ, მე სულელი! არა, წერილი უნდა დავიბრუნო... მაგრამ როგორ? როგორ მოვახერხო? ის ხომ კარებს იქით, იატაკზე გდია, თეთრი, ბრტყელი, ორად მოკეცილი და დედას ლამაზ თითებს გულგრილად უცდის!.. იქნებ სხვამაც აიღოს და... არა უნდა დავიბრუნო!

ამ ყოყმანში თითქოს ერთი საათი გავიდა. ბოლოს გადაწყვეტით მოვტრიალდი და კვლავ კარებს მიუახლოვდი. დავიჩოქე და ცალი თვალით კარის ქვეშ შევიხედე. იქ ბნელოდა, არაფერი სჩანდა. გული გამიქანდა, ეს რა ვქნე? თავი ერთმა აზრმა გამიელვა. მსწრაფლ ქამარი შემოვიხსენ, მივიხედ-მოვიხედე, ქამრის წვერით კარებ ქვეშ შევყავ და ცოდვილი დავუწყე. ამ რიგად წერილის გარედ გამოთრევა მსურდა. წარამარა აქეთ-იქით ვიცქირებოდი, მეშინოდა არავის მოესწრო და თან ხელების კანკალით ქამარს ვათამაშებდი.

— რას ეძებთ?—შემომესმა შიგნიდან ნაცნობი ხმა.

ამ ხმამ ისე გაიწკრიალა, თითქოს უშველებელ სიმაღლიდან შუშის მომწყვეტილი ზარი თავზე დამეცაო, საქოჩრეზე დამცხო, მთელს ტანში ჟრუანტელმა გამირბინა და ფეხებში გასული ქუჩაზე დაფენილ ნათელ ქვებში გაირბინა. თავი ჩავქინდრე, მხრები ჩამომცვივდა და ქამრის ბალთა, ქვებზე მოკლე ჩაკუნით დაეცა, ქამრის წვერი კი ისევ ხელში მეჭირა... გარინდებული ვიდექ... ამასობაში კარიც გაიღო.

— რას ეძებდით?—გამიმეორა ლელამ კითხვა და მხარეზე მისი თითები ვიგრძენ; ისეთი ცხელები იყვნენ ეს თითები, რომ სწორედ პალტოს ის ადგილი, სადაც ისინი ელაგნენ, მთლად გაშრა და სინესტე სუბუქ ორთქლად ავიდა. ამ სიცხოველემ კანი დამწვა და ცალ გვერდზე დავიწიე. ამ დროს, უეჭველია, ძალიან სასაცილო ვიყავ, რომ ლელამ გულიანად გადიხარხარა, რამაც თავზარი დამსხა...

— რა გემართებათ? რატომ პასუხებს არ იძლევით? მოიხედეთ! გეკითხებით: რას ეძებდით მეთქი?—და რადგან მე არც კი გავინძერი, თითონ ჩამომიდგა წინ, ჩამაცქერდა—ისეთის თანაგრძნობით და დანანებით მითხრა:

— საწყალი!—თითებში ჩემი წერილი ეჭირა.

— დამიბრუნეთ!.. მოჩურჩულე მუდარით ვსთხოვე მე.

— რაღათ გინდათ? უკვე წავიკითხე!

მხოლოდ ახლა შევხედე თვალებში.

ალბად, ჩემი თვალების გამომეტყველებას მიხვდა, რომ მითხრა:

— სულელო!—და სწრაფად გაჰქრა მხოლოდ გასაღების ჩხარუნი-ღა შემომესმა.

როდემდის ვიდექ ისე თავჩაღუნული და გაბრუებული, არ მახსოვს. ქამარი ხელიდან გამვარდნოდა და შავ გველსავით ჩემ ფეხთა წინ გაშოტილიყო. გონს რომ მოველ, შემრცხვა, გავწითლდი. იმ ადგილს მწრაფლ მოვშორდი, თითქოს შემეჯავრდა ჩემი თავიც, ლელაც, სიცოცხლეც.

პირდაპირ შინისკენ გავწიე და ისე მივდიოდი, რომ ჩემს გარშემო ვერასა ვგრძნობდი. აზრები და გრძნობანი ერთმანეთში მერეოდნენ და ერთს გაბმულს ხაზს ვერ დასდგომოდნენ. ბოლოს ტუჩებმა უაზროდ დაიწყეს დუდუნი:

„ბავშო სულელო,—მსწრაფლ მიაძახა“.

ვიმეორებდი, ოდესღაც პატარაობისას ნასწავლ ლექსის ერთს სტრიქონს და რამდენსაც არ ვიმეორებდი, მაინც ვერ მიმხვდარიყავ, ეს სტრიქონი ლექსის დასაწყისი იყო თუ ბოლო, ვერც მისი შემდეგი სტრიქონები მოვიგონე და ვერც მივხვდი, ეს სიტყვები თავში რისთვის მომივიდა...

ი. ტა—შვილი.

ლაქში ჩვეულებრივი ცხოვრება შესწყდა, ვაჭრობა მოისპო, ხალხი შეიკრიბა ტაძარში, რამდენმამე ორატორმა ილაპარაკა და მოუწოდა ხალხს, შებრძოლებოდა მთავრობას, რომელიც სპარსეთის ხალხს მეტხორცად მოვლენია და სიცოცხლეს უწამლებსო. გენერალ-გუბერნატორმა სამხედრო წესები გამოაცხადა. ქუჩებში ჯარის-კაცებმა იწყეს მიმოსვლა, არკიზის მოედანზე ოთხ ადგილას ზარბაზნები დასდგეს.

დილის 11 საათზე ასტყდა სროლა ხალხსა და ჯარს შორის, რომელიც შემდეგ ნამდვილ ბრძოლად გადაიქცა. ჯარმა ველარ შესძლო ხალხის იერიშისათვის წინააღმდეგობა აღმოეჩინა და იძულებული გახდა უკან დაეხია. ხალხმა ბარიკადები და სიმაგრეები გამართა მოედანზე. ყველგან გაიფიცნენ. მთავრობამ ქალაქის შემოსასვლელი გზები შეჰკრა და ზარბაზნები და ჯარის-კაცები დააყენა ყველგან. საღამოს 8 საათზე გაისმა საყვირის ხმა, რომლითაც ამცნევდნენ ხალხს, ქუჩებში აღარ ამოხვიდეთო. რაკი არავის უშვებენ ქალაქიდან, იმის გადმოცემა, თუ რა ხდება ეხლა, შეუძლებელია.

ახალი პარტია.

ოსმალურ გაზეთების სიტყვით, ადერბეიჯანში შესდგა ახალი პარტია, რომელსაც აზრად აქვს თურმე ვაჭართა დინასტია ტახტიდან ჩამოაგდოს და სპარსეთში რესპუბლიკანური წესწყობილება შემოიღოს.

ახალი სესხი.

ხმა დადის, რომ ეხლახან პეტერბურგში ჩასულს სპარსეთის ელჩს ალლა-ულ-მულქს, სხვათა შორის მინდობილი აქვს ახალი სესხის მოწყობის საქმეო. შაჰის მთავრობას ფული სჭირია „შინაურ მტერთან“ საბრძოლველად. ლიახოვის ბრიგადას ძალა არ შესწევს რევოლიუციონერებთან საბრძოლველად, ამიტომ შაჰის მთავრობას გადაუწყვეტია, ახალი ჯარი შეჰქმნას, ამას კი ფული უნდა.

კავკასიელების ჩასვლა სპარსეთში.

„გოლ. მოსკ.“ გადმოგვცემს, რომ ჯულფაში აუარებელი ქართველი და სომეხი რევოლიუციონერი მივიდა. რევოლიუციონერები ხოისკენ გაემგზავრნენო.

კორესპონდენტის გაძევება თეირანიდან

სპარსეთის მთავრობის მოთხოვნით, რუსეთის საკონსულომ თეირანიდან გააძევა „რუსკ. სლ.“ და „რეჩის“ კორესპონდენტი პანოვი (ტანე). მიზეზად იმას ასახელებენ, რომ პანოვის მიერ რუსეთის გაზეთებში გაგზავნილი დეპეშა, ვითომ შაჰის მთავრობას პროვინციებში სარბაზები გაეგზავნოს რევოლიუციონერების სახელით ხალხის გასაცარცვად, ტყუილიაო. პანოვს უთქვამს, ამის დასამტკიცებლად საბუთები მაქვსო, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია და თეირანიდან გაუძევებიათ.

ოსმალეთი

გაზეთები ოსმალეთში

ნოემბერში მთავრობამ 500 გაზეთის ნებართვა მისცა. პარლამენტის გახსნის დღეს 20 ახალი გაზეთი გამოვიდა.

მილოცვა

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კადეტების ფრაქციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ოსმალეთის პარლამენტს და ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს.

„ჯარისა და ხალხის პატრიოტიზმის გასაოცარმა მეცადინეობამ თქვენ მშვენიერ სამშობლოს მოუპოვა ახალი ხანა პოლიტიკურ და სოციალურ აღორძინებისათვის ოსმალეთის ყველა ხალხის ძმობის ნიადაგზე. დაე, უკვდავი იდეები თავისუფლებისა, ძმობისა და პროგრესისა ხელმძღვანელობდნენ თქვენ ამ დიად, ქვეყნის აღორძინების საქმეში,— რომელიც მთელი ევროპის განათლებისა და მშვიდობიანობისათვის მეტად დიდ-მნიშვნელოვანია. სახალხო თავისუფლების პარტია გულითა და რწმენით ყოველთვის თქვენთან იქნება, თქვენს კეთილ-შობილურ ბრძოლის დროს პოლიტიკურ აბსოლიუტიზმისა და სოციალურ უსამართლობის წინააღმდეგ. ფრაქციის თავმჯდომარე პ. მილიუკოვი.“

რუსეთის სახელ. სათათბიროს მაჰმადიანთა ფრაქციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ოსმალეთის პარლამენტს: „მაჰმადიანთა ფრაქცია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსი ბედნიერია, ძმური სალამი მოგიძღვნად თქვენ ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან და სადღესასწაულო დღეს ერთმორწმუნე ძმურთა ხალხის პარლამენტის გახსნის დროს. მოგესალმებით თქვენ, ხალხის წარმომადგენელნო, და თქვენის საშუალებით მივესალმებით მთელ ოსმალეთის ერსაც ამ ფრიად სახელოვან დღეს თქვენს ისტორიაში. ვისურვებთ რომ ახალ წყობილების განმტკიცებით განახლებული და აღორძინებული ოსმალეთი ჰყვაოდეს და მიდიოდეს წინ პროგრესის და თავისუფლებისაკენ. გვესმის, თუ რატომ არის, რომ ასე უსაზღვრო სიხარულს მოუცავს ჩვენი გული და სული; ჩვენა ვგრძნობთ ამ სიხარულის სიღრმეს იმ ამოძახილის მიხედვით, რომელიც ჩვენი გულიდან გაისმის. ფრაქციის თავმჯდომარე თევკელოვი.“

ბალკანეთი

რჩევა ბოიკოტის შესახებ

ბერლინის მაღალი წრეები მეგობრულად ურჩევენ თურმე ავსტრიას, ბოიკოტის ასაცილებლად ოსმალეთის სურვილს წინააღმდეგ ნუ წახვალ, რომ როგორმე მისი სიმპატია მოიპოვო კონფერენციის მოწვევამდეო.

რეპრესიები ბოსნიაში

ბოსნიაში ქათოლიკეებს ყველას თურმე იარაღი დაურიგეს, ამავე დროს მაჰმადიანებმა და მართლმადიდებელ სერბებს ჟანდარმები ართმევენ არა თუ იარაღს, ცულებსაც კი. ყველა მოელის აკლება აწიოკებას, რომელიც გამოიწვევს ჯარის ჩარევას, ვითომ და ქათოლიკეთა დასაცავად.

კონფერენცია

რუსეთის პასუხი ავსტრიის მთავრობისადმი უკვე შედგენილია. პასუხში ნათქვამია: რუსეთი მხოლოდ კონფერენციის წესრიგის პროექტს იძლევა და სრულიად არ ეხება იმას, თუ რა და რა საკითხი უნდა განიხილოს კონფერენციამაო. ლონდონში გახარებულნი არიან იმ გარემოებით, რომ საფრანგეთი, რუსეთი და ინგლისი თანხმობით იმოქმედებენ და რომი და სტამბოლიც მათ ემხრობიან. ამითი ეს სახელმწიფოები შესძლებენ წინააღუდგნენ ავსტრიის ხრიკებს: დააცალკევოს დიდი სახელმწიფოები და კონფერენციის მოწვევა შეუძლებელი გახადოს.

შეთანხმების პირობები

ქიამილ-ფაშამ შეამცირა კომპენსაციის რიცხვი 75 მილიონამდე. ამასთან დიდმა ვეზირმა განაცხადა, შეთანხმების საკითხი საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გადასწყდება, როდესაც ინგლისის აზრს გავიგებო.

ავსტრიის და ოსმალეთის მოლაპარაკება.

გაზეთები სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთი დაბეჯითებით თხოულობს ავსტრიისაგან იმ სახელმწიფო ვალის გადახდას, რომელიც ბოსნია-ჰერცოგოვინას შეხვდება. თუ მივიღებთ მხედველობაში ოსმალეთის ვალის რაოდენობას, ავსტრიას შეჰხვდება 150,000,000 ფრანკი. იმავე გაზეთების სიტყვით ავსტრიამ თავის მხრივ სთხოვა იმ ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც მას მოუვიდა 1875—78 წლებში ემიგრანტ ბოსნია-ჰერცოგოვინელების შენახვით. დიპლომატები ეხლა იმისთანა კომპრომისს ეძებენ, რომელიც ოსმალეთის მატერიალურ ინტერესებს დააკმაყოფილებს და ავსტრო-ჰუნგრეთის ინტერესების წინააღმდეგიც არ იქნება.

ავსტრო-ჰუნგრეთის ახალი გეგმა.

ვენის დიპლომატიურ წრეებში ხმა დადის, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობას გადაუწყვეტია, ახალის წინადადებით მიმართოს სახელმწიფოებს ბოსნია-ჰერცოგოვინას შესახებ. „ბერლ. ტაგებ.“ სიტყვით, ამ წინადადებით ბოსნია-ჰერცოგოვინა უნდა აღიარებულ იქმნას ბალკანეთის ავტონომიურ სახელმწიფოდ, რომლის სათავეშიაც უნდა იდგეს ავსტრიის საიმპერატორო სახლის ერთ-ერთი წევრი. დაუყონებით დადის ხმა, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩმა სტამბოლში ოსმალეთის მთავრობასთან ამაზე უკვე მოლაპარაკება გამართა, ამასთან ამბობენ, ამ გეგმის განხორციელების შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტერი ბარონი ერენტალი თანამდებობას თავს დაანებებსო.

რუსეთი

გაზეთების დაჯარიმება. ვარშავის გენერალ-გუბერნატორს გაზეთები „დენ“ „უტრენ.-იზვ.“, „გოლ. ვარშ.“ და „ნოვ. გაზ.“ დაუჯარიმებია: თითო 100 მან. მიზეზი—ვისპიანსკის პიესის „ნოიამ. ნოჩ.“ რეცენზიაა.

ჩამოხრჩობა. სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში—2, ელისავეტოგრადში—2, სევასტოპოლში—1, ეკატერინოსლავში—1, ნოვოჩერკასკში—2.

სატყეო ინსტიტუტი. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, სატყეო ინსტიტუტი მთავრობამ დროებით დაკეტა ამის შესახებ მოლაპარაკება გაუმართავთ სატყეო ინსტიტუტის სტუდენტებს. დიდი ხნის კამათის შემდეგ სტუდენტებს შემდეგი რეზოლიუცია გამოუტანიათ: „განვიხილეთ რა ინსტიტუტის დახურვით გამოწვეული მდგომარეობა, საპიროდ ვსთვლით დაუყოვნებლივ ეცნობოს პროფესსორთა საბჭოს, რომ გვსურს ინსტიტუტის გახსნისთანავე ნორმალურ აკადემიურ ცხოვრებას შევუდგეთ“. ეს რეზოლიუცია სტუდენტების დეპუტაციის ხელით ინსტიტუტის დირექტორისთვის გადაუციათ. დირექტორს რეზოლიუცია პროფესსორთა საბჭოში შეუტანია, რომელსაც დაუდგენია, ეთხოვოს მიწათმოქმედების მართველს, რომ ინსტიტუტი გაიხსნას. საბჭოს უკვე უთხოვნია მართველისთვის ინსტიტუტის გახსნა.

საქსოვ ქარხნებში. რუსეთის საქსოვ ქარხნებში ამ მოკლე ხანში დამთავრდება მუშა მამა-კაცების მაგიერ ქალების ჩაყენება სამუშაოდ. მამა-კაცების დათხოვნა გამოწვეულია ქალების ხელ-ფასის ნაკლებობით. პროფესსიონალურ კავშირების ცნობებით ამ მიმდინარე წელს 7,000 მამა-კაცი დაუთხოვნიათ და მათ მაგიერ ამდენივე ქალი მიუღიათ.

სამხედრო მატარებელი. 1 დეკემბრიდან პეტერბურგის რკინის გზის გზებზე ხელახლად სამხედრო მატარებლებს ადგენენ. ყოველ დღე სპეციალური კომისია აქეთ-იქით ჰგზავნის მატარებლებს. გაზეთების სიტყვით, ყველაფერს ამას იმიტომ სჩადიან, რომ გაიგონ რკინის გზების გაფიცვის და ფულის გატაცების დროს რა სამსახურს გაუწევენ მთავრობას სამხედრო მატარებლები.

სად. ბეზდანაზე მატარებლის გაცარცვის მონაწილენი. სად. ბეზდანაზე მატარებლის გაცარცვა ამ ორი თვის წინად მოხდა. მას აქეთ პოლიცია გაფაციცებით დაეძებს თავდამსხმელებს. პოლიციამ მხოლოდ ერთი მონაწილეთაგანი შეიპყრო. ამას ყველანი გაუცია და უთქვამს, როგორ მოეწყო ეს საქმე. საქმე ამნაირად ყოფილა: ამხანაგების გამცემი მილერ-ფიალკოვსკი და სხვები გრაბოვსკისთან ვარშავაში შეკრებილან, აქედან ყველანი ვილნოში წასულან და იქ შეუმუშავებიათ თავდასხმის გეგმა. აქედან ბეზდანაში წასულან ზოგი ნავებით და ზოგიც ეტლებით, რომ პოლიციის და მცხოვრებლების ყურადღება არ მიექციათ. ფულის გატაცების შემდეგ მონაწილენი სხვა და სხვა ქალაქში გაფანტულან. ყველას ნამდვილი გვარები მილერ-ფიალკოვსკის გამომძიებლისთვის უთქვამს. ყველანი პოლონეთის ს.-რ. წევრები ყოფილან. წაუღიათ სულ 150,000 მანეთი.

ანტონ დავითის ძე თოიძე

(ნეკროლოგი)

დეკემბრის პირველ რიცხვებში შავს მიწას მიაბარეს უდროოდ გარდაცვალებული ანტონ დავითის ძე თოიძე. განსვენებულმა 1893 წელს დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია და იმავე წელს გამწესებულ იქმნა მასწავლებლად ს. სურებში, გურიაში. შემდეგ რამდენიმე ადგილი გამოიცვალა და სხვათა შორის, თორ-სამს წლიწადს მასწავლებლობდა „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წინარეხის სკოლაში, სადაც ხალხის პატივისცემა დაიმსახურა. მიუხედავად საქმის ღრმა სიყვარულისა, იგი იძულებული გახდა მიეტოვებინა არჩეული ასპარეზი, რადგან მალე იგრძნო ნიშნები კაცობრიობის უსაშინელეს მტრად მიჩნეულ იმ სენისა, რომელიც ჭლექის სახელით არის ცნობილი. იყო თავის ძმის, ზაქარიას, მაღაზიაში.

განსვენებული გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ყოველს საქვეყნო საქმეს. დიდი მოყვარე იყო ლიტერატურისა და ხშირად თანამშრომლობდა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთში და, სხვათა შორის, „ცნობის ფურცელშიაც“ ათავსებდა ფელეტონებს. ამ ბოლოს დროს „მიწაში“ და „რიშადურშიაც“ მოათავსა რამდენიმე ლექსი და მოთხრობა ა. დარჩიაშვილის ფსევდონიმით. ძალიან ეხერხებოდა იუმორისტულ ლექსების წერაც, რომლებსაც ჰბეჭდავდა სხვა და სხვა ფსევდონიმით. განსვენებულს დარჩა აუარებელი ხელთნაწერი-ლექსები, მოთხრობები და თარგმანები. აგრეთვე მშვენიერი ბიბლიოთეკა.

ხასიათით იყო მშვიდი და უპატიოსნესი ადამიანი. **ვანო გიუნაშვილი.**

წერილი რედაქციის მიმართ

თორმეტი წელიწადია, თუ მეტი არა, რაც ლიტერატურული ფონდი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში არც მწერლებმა ვიცით და არც [illegible] საზოგადოებამ, თუ ვინ რამდენს სარგებლობს ამ ფონდიდან. საჭიროა, ლიტერატურულ ფონდის გამგეობამ ყოველ წლიური ანგარიში ბეჭდოს, თუ ვის რა შემწეობა მიეცა ამ ფონდიდან; აგრეთვე საჭიროდ მიგვაჩნია, დაკანონებული იყოს ერთი რაიმე ნორმა შემწეობის აღმოჩენის დროს და ქართველმა საზოგადოებამაც იცოდეს, რაოდენობა ფონდისა ყოველ-წლიურად.

ვაჟა-ფშაველა, ი. კარგარეთელი
ი. რაზიკაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ივანე სოზიაშვილი.

გალოშები
„პროვოდნიკისა“



18 97
პატენტ-მიღებული
საუკეთესო მთელ
ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.
უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.



1888
წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის
ტფილისი და ბაქო. მიუნხ და ვეის
(50—6.—31)

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში
1888
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნარდად და ცალობით: ●
ლინოლეუმი, აუარებელი, ერთფერიანი და უზორებიანი,
ასბესტის კარტონი,
ასბესტის და ტალკის ნაბივკა
ახალი რამ:
„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.
ლინკრუსტა (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოო თვალისთვის და საუკეთესო ეკონომიისთვის.
ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
„პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.